

თორნიკე რამაზაშვილი

საქართველოს პოსტსაბჭოთა საზოგადოებიდან,  
პროევროპულ საზოგადოებამდე



თბილისი, 2020

## წინასიტყვაობა

საბჭოთა კავშირმა წარუშლელი კვალი დატოვა ადამიანების აზროვნებასა თუ გრძნობებზე. ტოტალიტარიზმის საბჭოურმა ვირუსმა ძალისმიერი მეთოდებით შეაღწია ადამიანის აზროვნებაში, გაუნადგურა შეწინააღმდეგების უნარი, შეცვალა მისი მენტალიტეტი და დაამყარა სრული კონტროლი მისი ყოველდღიური თუ ზოგადად საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, რომლის შედეგადაც ადამიანი გარდაიქმნა „ჰომო სოვიეტიკუსად“, ანუ საბჭოთა ადამიანად.

მიუხედავად იმისა, რომ 70 წლიანი კონსტრუირებული საბჭოთა რეალობა დასრულდა, რომლის შედეგადაც დაიწყო ძირეული პოლიტიკური გარდაქმნები, სადაც ჩამოყალიბდნენ ახალი დამოუკიდებლობა მოპოვებული სახელმწიფოები, შეიცვალა თაობები, გაჩნდა აზროვნების სხვა წესები და მსოფლიომ გააგრძელა ცხოვრება ისტორიის ახალი ფურცლიდან, მაინც არსად გამქრალა საბჭოური მენტალიტეტის ნაკვალევი. აზროვნების ამგვარი წესი, ყოველთვის სავსეა წარსულისადმი ნოსტალგიური გრძნობებით, წინააღმდეგობრივი ხასიათით დღევანდელ დროსთან და მომავლისადმი უიმედობის განცდით. სწორედ ამიტომ, აშკარაა, რომ არსებობს შესამჩნევი სხვაობა თავისუფალ საქართველოში დაბადებულ თაობასა და საბჭოთა კავშირის დროს დაბადებულ თაობას შორის.

განსხვავებები არ მოიცავს მხოლოდ მენტალურ და იდეოლოგიურ სხვაობას, არამედ შეხედულებებს ყოველდღიურ ყოფით დეტალებზეც. არსებული განსხვავებები მუდმივად ქმნის პოლემიკას, ზოგ შემთხვევაში კი დაპირისპირებას და შეუთანხმებლობას ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებზე. იმის ფონზე, რომ განვითარების ორიენტირად აღებულია ევროპული მოდელი, რომელიც ძირითადად მოიცავს ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნასა და ევროპული ღირებულებების გავრცელებას, მაინც არ შეცვლილა „ჰომო სოვიეტიკუსი“ რომელიც ჩვენს საზოგადოებაშია. ყოველივე ამის გათვალისწინებით კი ჩნდება კითხვა სად ვიყავით, სად ვართ და სად უნდა ვიყოთ ?

## სად ვიყავით, სად ვართ და სად უნდა ვიყოთ ?

სოციალიზმისა და კომუნიზმის ისტორიას, დანიშნულებასა და ზოგად ხასიათს ნათლად გამოხატავს ორი ძროხის მაგალითი. თუ ადამიანს ჰყავს ორი ძროხა, ერთი აუცილებლად უნდა მისცეს მეზობელს, ამაში მდგომარეობს სოციალიზმის აზრი. ხოლო თუ ადამიანს ჰყავს ორი ძროხა, ხელისუფლება მას წაართმევს ორივეს და სანაცვლოდ მისცემს რძეს, აღნიშნული კი გამოხატავს კომუნიზმის არსს. მიუხედავად იმისა, რომ სოციალიზმმა ნოყიერი ნიადაგი მოუმზადა კომუნიზმს შემდგომ აყვავებაში, ხოლო ფრაზა - სოციალიზმის მიზანს წარმოადგენს კომუნიზმი, როგორც აღნიშნა თავად საბჭოთა კავშირის კომინისტური პარტიის დამაარსებელმა ვლადიმერ ლენინმა, მაინც არსებობდა გარკვეული სხვაობა სოციალიზმსა და კომუნიზმს შორის.

ნიშანდობილივია, რომ თითოეული იდეა იქმნება შესაბამისი გარემოებების ზემოქმედების შედეგად. ამრიგად, სოციალისტური იდეების განვითარება დაკავშირებულია ევროპაში ინდუსტრიული მუშათა კლასის განვითარებასთან. დაბალმა ხელფასებმა, სამუშაო საათების ხანგრძლივობამ და სიღარიბემ გზა გაუკვალა იმ აზრს, რომ კაპიტალიზმის დამხობა არის გარდაუვალი მიზანი, ხოლო რევოლუცია ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალება. იდეოლოგიების განვითარების კონტექსტში ესა თუ ის აზრი, რომელიც ფორმირდება, უმრავლეს შემთხვევაში ყალიბდება პოლიტიკურ გაერთიანებებად, სწორედ ამგვარი ბედი ეწია იმ რევოლუციონერ-სოციალისტურ ჯგუფებს, რომლებმაც „კომუნისტები“ დაირქვეს და საბოლოოდ საბჭოთა კავშირში მოველინენ მმართველ პარტიად.

შესაბამისად, კომუნისტურ რეჟიმებს ის ისტორიული პირობები აყალიბებდა, რომელშიც ისინი თავად ვითარდებოდნენ. კომუნისტური პარტიები მოვიდნენ ხელისუფლებაში მხოლოდ ისეთ ჩამორჩენილ და არაურბანიზებულ ქვეყნებში, როგორც იყო რუსეთი და ჩინეთი, და არა დასავლეთ ევროპის განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში. მოსახლეობის უმრავლესობა იყო ერთგვაროვანი და კომუნისტური მმართველობა კომუნისტური ელიტის ხელში მარტივად აღმოჩნდა.

ზოგადად, რევოლუციის ბუნება, რომელიც გულისხმობს არსებული პოლიტიკური სისტემის შეცვლის რადიკალურ და არაკანონიერ საშუალებას, განეკუთვნება დიქტატურის დამყარებისა და პოლიტიკური რეპრესიების ტენდენციას. ვინაიდან, რევოლუციის შემდეგ მმართველები ძალმომრეობას განიხილავენ ბუნებრივ მოვლენად, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ ხელისუფლებაში მოსვლამდე და მის შემდეგაც. ამასთანავე, ეს იქნება ძველი რეჟიმების გადმონაშთი თუ ყველა პოტენციური ოპოზიციური ძალა, ახალი რეჟიმის მიერ სრულად ნადგურდება, რათა ძალაუფლების განმტკიცებისკენ გზა მაქსიმალურად თავისუფალი ჰქონდეთ.

ტოტალიტარული სახელმწიფო კი სხვა არაფერია, თუ არა ხელისუფლების მხრიდან სრული კონტროლი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე და უმთავრესად ადამიანის ბუნების გარდაქმნა, მასში ინდივიდის გათიშვა. შედეგად კი დგება ის რეალობა, რომელიც სამყარომ უკვე იხილა მრავალჯერ. უკანასკნელი მაგალითი საბჭოთა კავშირის სახელით არის ცნობილი, რომლის ტოტალიტარული ხასიათი შესანიშნავად აღწერა ინგლისელმა მწერალმა ჯორჯ ორუელმა :

„გითვალთვალევენ, ფიქრს გიკონტროლებენ, გაჯერებენ რომ ომი მშვიდობაა, მონობა თავისუფლება, უმეცრება კი ძალა. გარწმუნებენ, რომ  $2+2=5$  და შენ არ გაქვს არგუმენტები საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად, რადგან წარსული გამუდმებით იცვლება, ფაქტები აღარ არსებობს. ამ ყველაფერთან ერთად, სამეტყველო ლექსიკაც ვიწროვდება. შენ ცხოვრობ ქვეყანაში, სადაც ინდივიდუალიზმი და აზროვნება გაუგებარი ცნებებია, კარგავ ძალას და ხდები მათნაირი.“

ამრიგად, საბჭოთა კავშირი იყო ის ტოტალიტარული ლევიათანი, რომელიც წარმოჩინდებოდა როგორც უზენაესი ხელისუფალი, შექმნილი უშიშარ და უძლეველ არსებად, აწყობილი ურიცხვი პატარა ადამიანებისგან და გაძლიერებული მათი შიშით. უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირი სრულად არ განადგურებულა, ვინაიდან დღემდე სიცოცხლისუნარიანია იმ სისტემებსა თუ სტრუქტურებში, რომლებსაც ახასიათებთ საბჭოთა ძალადობრივი ხასიათი, ტერორი კი მათი ძირითადი სამოქმედო იარაღია.

საბჭოური მენტალობის მშენებლობაში დიდი წვლილი არ მიუძღვით მხოლოდ კულტად ქცეულ პოლიტიკურ ლიდერებს, არამედ მთლიანად საზოგადოებას. მთავარ ამოცანას, რომელსაც ისახავს ტოტალიტარული სახელმწიფო, არის შემდეგი - ხალხს შეაყვარონ არსებული რეალობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამბოხი, აჯანყება და რევოლუცია გარდაუვალია. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ არსებულ რეჟიმში ინდივიდი თავისი დისტოპიური ხასიათით იძენს რევოლუციურ იერსახეს, ამიტომ გასაკვირი არ იყოს, თუ რატომ განაცალკევებდნენ მოაზროვნეებს საზოგადოებისგან, ვინაიდან მათი აზროვნება ხელისუფლებისთვის აღიქმებოდა მთავარ გამოწვევად და საფრთხის შემცველად. ნებისმიერ დროში, არცერთ სახელმწიფოს გულწრფელად არ მოსწონს მოაზროვნე, რაციონალური ინდივიდი, რომელიც მიდრეკილია ცვილებების განხორციელებისკენ და სიმართლის მოურიდელად თქმისკენ.

იდეოლოგიასთან ერთად, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება მტრის ხატის შექმნას, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში არც არსებობს, და თუ დასაშვებია მისი არსებობა, შესაძლოა სულაც არ იყოს მტერი. ყოველ შემთხვევაში, ის იქმნება რეალობის აღქმის დასაკარგავად, თავისთავად რეჟიმის შენარჩუნებისთვის, საზოგადოების ყურადღების გადასატანად და მეტი კონსოლიდაციისთვის - „საერთო საფრთხის“ წინააღმდეგ. აღნიშნული მანევრი დღესაც აქტუალურია, რადგან საბჭოთა ადამიანები ხედავენ საფრთხეს ლიბერალიზმში, ევროპასა და ევროპელობაში. ცხადია, რომ ამის უტრირებაში დიდ როლს თამაშობენ ინფორმაციები, რომელშიც ამყოფებენ ადამიანებს, მათ უმრავლესობას კი არ გააჩნია მისგან თავის დაღწევის სურვილი.

ხოლო რაც უფრო მეტია ინფორმაცია, მით უფრო რთულია მასში სიმართლის პოვნა. განსაკუთრებით დღევანდელ დროში, სადაც რუსული პროპაგანდა და საინფორმაციო ომი წარმატების მწვერვალს აღწევს. მაგრამ რა ხდება მაშინ, როდესაც საქმე ეხება იმ ადამიანებს, რომლებსაც მიაჩვიეს ცხოვრება საინფორმაციო ვაკუუმში, სადაც არსებობდა მხოლოდ ხელისუფლების სატელიტი არხები. ამ შემთხვევაში, იჯერებენ მათ ხელთ არსებულ ყველა სახის ინფორმაციას და არც ფიქრობენ მის გადამოწმებას.

სიახლეს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სოციალიზმის მთავარი ოპონენტია ლიბერალიზმი. ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, ლიბერალიზმის ძირითადი იდეა რაშიც მდგომარეობს, ცდილობს დაამყაროს ისეთი პირობები, როდესაც ადამიანები თავად განსაზღვრავენ, რა არის კარგი ცხოვრება და შეძლონ იცხოვრონ სწორედ ამ გზით. ლიბერალიზმი არ ადგენს და არც ცდილობს განსაზღვროს პირადი ინტერესები. ვინაიდან ადამიანი არის რაციონალური არსება და ის თავად განსაზღვრავს სოციუმის, სახელმწიფოსა თუ სხვა ნებმისიერი გაერთიანებისგან დამოუკიდებლად. რაც ყველაზე მთავარია, ლიბერალები არ აღიარებენ, რომ ინდივიდი აბსოლუტურად თავისუფალი უნდა იყოს, ვინაიდან შეუზღუდავი თავისუფლება შეიძლება გადაიქცეს ქმედებად, რომელიც შეურაცხყოფას მიაყენებს სხვას.

დღეს კი სრულიად განსხვავებულ საინფორმაციო „რეალობასთან“ გვაქვს საქმე, რომლის მიხედვითაც ლიბერალიზმი, ევროპა და ევროპელობა არის წყარო ყოველგვარი უზნეობის, ათეიზმისა და განსხვავებული ორიენტაციის. თუკი გავეცნობით ევროპულ ღირებულებებს, მათ დამოკიდებულებას ინდივიდთან, ოჯახის ტრადიციასთან, მედიის თავისუფლებასთან და ლიბერალური-დემოკრატიის საფუძვლებს, მაშინვე გახდება აშკარა, რომ საქმე გვაქვს ინფორმაციის მასობრივ გაყალბებასთან, რომლის მიზანია ადამიანები დააშორონ რეალურ ღირებულებებს, დაუკარგონ ორიენტირი დღევანდელ დროში და გადააქციონ წარსულის პატიმრებად.

ყოველივე რთულდება იმით, რომ საზოგადოება იმყოფება ახალი ომის, იგივე საინფორმაციო ომის ფაზაში, რომელიც მოიცავს მოსახლეობის მანიპულირების ეფექტიან საშუალებებს. ის საფრთხეს უქმნის, არა მხოლოდ ინდივიდების უსაფრთხოებასა და მათ მენტალურ განვითარებას, არამედ საერთაშორისო უსაფრთხოებასაც. შესაბამისად, საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციას არ შეუცვლია მისი ტოტალიტარული, სისტემური ხასიათი, მან შეცვალა მხოლოდ ბრძოლის ინსტრუმენტები და შეუსაბამა თანამედროვე ტექნოლოგიურ განვითარებას, რითაც აქტიურად განაგრძობს მსოფლიოს შეყვანას დეზინფორმაციაში.

## ბოლოსიტყვაობა

საზოგადოების მენტალიტეტის განვითარება ან/და შეცვლა, დაკავშირებულია ხანგრძლივ და მტკივნეულ პროცესებთან. აზროვნების წესი პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოსა და საზოგადოების ისტორიულ გამოცდილებასთან. ხოლო თუ თვალს გადავავლებთ ისტორიას, დავინახავთ, რომ საქართველო 70 წლის განმავლობაში დღევანდელიდან სრულიად განსხვავებულ რეალობაში არსებობდა. წარსულის ტოტალიტარულმა გამოცდილებამ შესძინა საზოგადოებას მანკიერი ტრადიციები და მოუსპო არჩევანის საშუალება. დღევანდელ დროში კი არსებობს არჩევანის თავისუფლება, სადაც არავინ არაფერს გვაძალეს და არავინ არაფერს არ გვართმევს.

„ევროპული წესის თვისება ის არის, რომ ყოველი თაობა განძად სთვლის წინაპრებისაგან გადმოცემულ სიმართლეს და საუნჯეს და ზედ თვითონაც ბევრს ამატებს, ართავს, აშენებს.“ ამ სიტყვების ავტორმა იცხოვრა ოთხ სხვადასხვა რეალობაში - ის დაიბადა ბატონყმობის დროს, მოღვაწეობდა რუსეთის გუნებერიის დროინდელ საქართველოში, მოესწრო პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკას და გარდაიცვლა საბჭოთა სინამდვილეში.

სხვადასხვა რეალობას ხელი არ შეუშლია ნიკო ნიკოლაძისთვის, რომ ყოფილიყო პროგრესული, ევროპულად მოაზროვნე და თავისი ქვეყნის პატრიოტი ადამიანი. შეუძლებელი არ არის, რომ ორ სხვადასხვა რეალობაში მცხოვრებმა ადამიანებმა შეძლონ სრულიად გაიცნობიერონ ევროპული ღირებულებები, მოსპონ საკუთარ თავში ტოტალიტარული ნარჩენები, ადაპტირდნენ დღევანდელ დროსთან და ჰქონდეთ იმედიანი მომავალის განცდა, რომლის შემდეგადაც გაქრება შესამჩნევი სხვაობა თავისუფალ საქართველოში დაბადებულ თაობასა და საბჭოთა კავშირის დროს დაბადებულ თაობას შორის, საბოლოოდ კი საზოგადოება ერთობლივად დაიწყებს პროევროპულობის ეტაპზე გადასვლას.

ასეთ შემთხვევაში გვეცოდინება - სად ვართ, სად ვიყავით და სად უნდა ვიყოთ.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. „პოლიტიკური იდეოლოგიები“ - ენდრიუ ჰეივუდი, მე-3 გამოცემა, გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, 2005 წელი.
2. „გავიგოთ პოლიტიკა“ - თომას მ.მაგშტადტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010 წელი.
3. „პოლიტიკური თეორია“ - მამუკა ბიჭაშვილი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006 წელი.
4. „საზოგადოება და პოლიტიკა II“, მშვიდობა, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 1999 წელი.
5. <https://www.marketer.ge/niko-nikoladze/>